



პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ და „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდი“ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მხარდამჭერია.

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ და „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდი“ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მხარდამჭერი გახდა. პარტნიორობის ფარგლებში თეატრს მეტი შემოქმედებითი და ახალი პროექტების განხორციელების შესაძლებლობა გაუჩნდა.

2 მაისს, სწორედ პარტნიორობის ფარგლებში, რეჟისორ ლევან წულაძის ახალი, ორიგინალური და საინტერესო სპექტაკლის „სამსახური ანუ ზაფხულის ღამის სიზმარი“ პრემიერა იგეგმება.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

